თვალის სნეულებათა დეპარტამენტი

მერაბ დვალი
ემერიტუსი

პროფესორი ნინო კარანაძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი მედეა გობეჯიშვილი

ასოცირებული პროფესორი ნინო ნიკურაძე

თვალის სნეულებათა დეპარტამენტი

ასოცირებული პროფესორი თინათინ კილასონია

ასისტენტ-პროფესორი მანანა კიკოლაშვილი

თვალის სნეულებათა დეპარტამენტი

1921 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე დაარსდა თვალის სნეულებათა კათედრა და გამგედ დაინიშნა გამოჩენილი ოფთალმოლოგი პროფ. ვახტანგ მუსხელიშვილი.
მან საბჭოთა კავშირისა და ევროპის წამყვან კლინიკებში ათვისებული დიაგნოსტიკისა დამკურნალობის უახლესი მეთოდები მაშინვე დანერგა კლინიკაში. გამოსცა მონოგრაფია "რეფრაქცია და აკომოდაციის შესახებ".
რუსულიდან თარგმნა კრიუკოვის "თვალის სნეულებათა" სახელმძღვანელო.
პროფ. ვ. მუსხელიშვილის ინიციატივით 1932 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ექიმთა საზოგადოების ოფთალმოლოგთა სექცია (შემდგომში საზოგადოება), რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე.

1933 წლიდან თვალის სნეულებათა კათედრას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ოფთალმოლოგ - კლინიცისტი პროფესორი ალექსანდრე შატილოვი.
მის მიერ კლინიკურ პრაქტიკაში დაინერგა ფიზიოთერაპიული მკურნალობის მეთოდები, შეიქმნა პათოჰისტოლოგიური ლაბორატორია, დამუშავებულ იქნა მხედველობის ორგანოს ტუბერკულოზის, გლაუკომის საკითხები.
1933 წელს პროფ. ა. შატილოვი აირჩიეს საქართველოს ოფთალმოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ და მას გარდაცვალებამდე (1949 წ.) ედგა სათავეში.
1949 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრას ხელმძღვანელობდა პროფ. ივანე სიხარულიძე.
იგი ავტორია ორიგინალური სახელმძღვანელოსი _ "თვალის სნეულებანი". გარდაცვალებამდე პროფ. ი. სიხარულიძე იყო საქართველოს ოფთალმოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე.
1956 წელს მას საქ. სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.
1964 წელს პროფ. ი. სიხარულიძის გარდაცვალების შემდეგ თვალის სნეულებათა კათედრის გამგედ არჩეული იყო საქ. სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი ტატიანა შატილოვა.
ძალზედ მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო პროფ. ტ. შატილოვას მეცნიერული და კლინიკური ინტერესები. ამ პერიოდში კლინიკაში მეცნიერული კვლევის ძირითად საგანს გლაუკომისადმი მიძღვნილი საკითხები წარმოადგენდა, შესწავლილი იყო ცილიარული სხეულის ნერვული აპარატისა და სისხლძარღვოვანი სისტემის მნიშვნელობა გლაუკომის ეტიოპათოგენეზში.
შემუშავდა კვლევის ორიგინალური მეთოდი ელექტროცილიოგრაფია.
  გლაუკომის პრობლემისადმი მიძღვნილი შრომების ციკლი აისახა მონოგრაფიაში "გლაუკომა თვალის იშემიური დაავადება".
მოწოდებულ იქნა ბადურის დისჰემიური დისტროფიების კლასიფიკაცია.
პირველად ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებული იყო კორუნდის კერამიკა საცრემლე გზების პროთეზირებისათვის და ენუკლეაციის შემდგომი ენდოპროთეზირებისათვის.
შემუშავდა და კლინიკაში დაინერგა ორიგინალური ანტიგლაუკომატოზური ოპერაცია _ მუსკულენკლეიზისი, მიოპიის კორეგირებისათვის _ ლიმბოტომია, მელიტირებული (ნატურალურ თაფლში კონსერვირებული) ემბრიონული სკლერის იმპლანტაცია დისჰემიური და პიგმენტური დისტროფიებისა და პროგრესირებადი მიოპიის სამკურნალოდ.

რამოდენიმე ათეულ პაციენტს ჩაუტარდა აღნიშნული ოპერაცია.
მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ოფთალმოლოგების მთელი პლეადა.
ირინა ონიანმა, ეთერ მშვიდობაძემ, დავით შენგელიამ, ირინა თოდუამ, ნინო თავბერიძემ, მედეა პაპავამ, მანანა შეროზიამ დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები.
სწავლების ოპტიმიზაციის მიზნით ჯერ კიდევ მაშინ შემოღებულ იქნა სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების რეგისტრაციის ბარათი.
1987-1996 წწ. თსსუ თვალის სნეულებათა კათედრას ერუდირებული კლინიცისტი პროფ. თამაზ ალექსიძე ხელმძღვანელობდა.
ამ პერიოდთან არის დაკავშირებული გლაუკომის ადრეული დიაგნოსტიკისა და ოფთალმოჰერპესისადმი მიძღვნილი კვლევები.
ამ საკითხებს მიეძღვნა თ. ალექსიძის ორი მონოგრაფია.
მისი ხელმძღვანელობით შესრულდა რამოდენიმე საკვალიფიკაციო ნაშრომი.
1996-2004 წწ. თვალის სნეულებათა კათედრის ხელმძღვანელია პროფ.დ. შენგელია.
ამ პერიოდში წარმატებით ხორციელდებოდა ყველა სახის სიელმის ქირურგიული კორექციის ოპერაციები. დაინერგა ულტრაბგერითი დუპლექსური სკანირების მეთოდი, ჩაეყარა საფუძველი ამნიონის გამოყენებას თვალის სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. შეიქმნა ანტიოქსიდანტური პრეპარატი დავიკოლი, ფართოდ გამოიყენება მელიტირებული, დაქუცმაცებული ბრეფოსკლერის იმპლატანცია პროგრესირებადი მიოპიის სამკურნალოდ.
პროფ. დ. შენგელიას ხელმძღვანელობით კათედრის სამმა თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.
ამ პერიოდში კლინიკის პროფესორ მერაბ დვალის მიერ პირველად საქართველოში დაინერგა კატარაქტის ულტრაბგერითი ქირურგია - ფაკოემულსიფიკაცია და შეიქმნა სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი ექსიმერლაზერული ცენტრი რეფრაქციული ანომალიების - ახლომხედველობა, შორსმხედველობა და ასტიგმატიზმის საკორექციოდ, ასევე დაინერგა ბადურის სხვადასხვა დაავადებებისას
არგონ-ლაზერით ფოტოკოაგულაცია და იაგ-ლაზერით მეორადი კატარაქტის დისციზია.
2006 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა თვალის სნეულებათა დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფ. მერაბ დვალი.
მისი ხელმძღვანელობით კლინიკაში დაინერგა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უახლესი მეთოდები. განსაკუთრებული მიღწევებია მიკროქირურგიასა და ლაზერულ ქირურგიაში. ხორციელდება კატარაქტის ფაკოემულსიფიკაცია კუმშვადი ბროლის იმპლანტაციით, თანდაყოლილი კატარაქტის ფაკოემულსიფიკაცია ადრეული ასაკის ბავშვებში და მათი კონტაქტური კორექცია, რეფრაქციის მანკების ქირურგიული კორექცია ფაკიური ლინზების გამოყენებით.
დიდი წარმატებით ხორციელდება რქოვანას გადანერგვა, კერატოკონუსის ადრეული დიაგნოსტიკა და დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა პროფ. მ. დვალის მოდიფიკაციით შექმნილი რქოვანას ინტრასტრომალური რკალების იმპლანტაციით.
მშრალი თვალის სინდრომის სამკურნალოდ გამოიყენება სილიკონის საცობები.
მსოფლიოში პირველად და წარმატებით განხორციელდა ჰიპერმეტროპიისა და ასტიგმატიზმის ლაზერული კორექცია ბავშვებში ამბლიოპიის მკურნალობისა და პრევენციის მიზნით.
ბოლო 10 წლის განმავლობაში პროფ. მერაბ დვალის მიერ მიღებულია 5 პატენტი გამოგონებაზე.
დეპარტამენტში ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო წრე, შესრულებული ნაშრომებისათვის ისინი დაჯილდოვდნენ პრეზიდენტის სტიპენდიით და სხვადასხვა ხარისხის დიპლომებით.

სტუდენტთა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიცა 2 მეთოდური რეკომენდაცია და ერთი კრებული - “457 ტესტირებული კითხვა ოფთალმოლოგიაში”.
სტუდენტთა სწავლების პროგრამა ითვალისწინებს კლინიკურ სიტუაციურ ამოცანებს, რომელიც შეტანილია საგამოცდო ბილეთებში.
სასწავლო პროცესი ილუსტრირებულია უახლესი ვიდეო-მასალით.
2017 წელს დაწესდა პროფესორ ტატიანა შატილოვას სახელობის 1 წლიანი სასწავლო გრანტი ოფთალმოლოგიის წარმატებული რეზიდენტისთვის.

მიმართულების სამეცნიერო მუშაობის პრიორიტეტებია:

1. “მშრალი თვალის” დიაგნოსტიკა, კლინიკა, კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობა.
2. რეფრაქციული მანკების ქირურგიული მკურნალობა.
3. ახლომხედველობის პროგრესირების პრევენცია.
4. ანტიოქსიდანტების გამოყენება.